პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 დეკემბერი ხუთშაბათი 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 293 (14593)

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲓᲜᲝᲑᲘ

თბილისი. ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის (დირექტორი ი. ბერლიშვილი) კოლექტივმა ყველა მაჩვენებლით ვადაზე 21 დღით ადრე გაანაღდა ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება. ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 8 მილიონ 590 ათასი მანეთისა რეალიზებულია 8 მილიონ 606 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე სახელმწიფოს დამატებით ბისცეს 400 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზაციის გეგმას 400 ათასი მანეთით გადააჭარბოს.

ვ. ი. ლენინის დაბადების საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 1, № 3 და № 4 საამქროები, რომლებსაც გ. ლომძე, დ. დემეტრაშვილი და გ. გამზარდია ხელმძღვანელობენ.

შრომითი რეზერვები

● **თეთრი წყაროს** რაიონის მრეწველობის ... გეგმით სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 12.790 ცენტნერი ხორცი. ეს დავალება 120 პროცენტით შესრულდა. კერძოს მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 142 პროცენტით, ძატყლისა — 101 პროცენტით, კარტოფილისა — 101 პროცენტით, პოსტნეულისა — 100 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა ტაკვნედლეულის, ბეწვეულისა და ჭურჭეულის მიყიდვის წლიური დავალებები.

(„კომუნისტის“ კორ.).

● **ადიგენის** რაიონის მეცხოველეობა პირობაა 31 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდნინ 6 391 ცენტნერი ხორცი. ეს პირობა ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს. სახელმწიფოს მიეყიდა 6.100 ცენტნერი ხორცი; 1.814 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად 1.299 ცენტნერისა, რაც წლიური გეგმის 101 პროცენტს შეადგენს. („კომუნისტის“ კორ.).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲡᲗᲐᲜ

თბილისი დიდაქალაქის ქარხანა „პლასტმასის“ პროდუქციას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ელექტროტექნიკური და მანქანათსამშენებლო ქარხნები იყენებენ. სასიგნალო არმატურა, რომელსაც აქ ამზადებენ, ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა. ურეკლამაციოდ მუშაობით პლასტმასილებმა სანელი გაუთქვეს თავიანთი პროდუქციის მარკას და ფართო ნაბიჯი გადადგეს რენტაბელობის გზაზე. თერმეტ თვეში აქ გამოუშვეს 6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, რაც ბევრად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. შრომის ნაყოფიერება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 6,6 პროცენტით გაიზარდა, მოგებამ გეგმის გადამეტებით 180 ათასი მანეთი შეადგინა.

ლენინურ ვახტზე მადალ მაჩვენებლებს აღწევენ საამწყობო და პირველი საიარაღო საამქროები, რომლებსაც ვ. ლეონავა და გ. საბანაძე ხელმძღვანელობენ.

ქუთაისი (საკ. კორ.). შეჯამებულია ქალაქის მრეწველობის თერმეტი თვის მუშაობის შედეგები. ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც სასახელოდ ასრულებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს და 297 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს, 3 მილიონ 479 ათასი მანეთით გადააჭარბეს მიმდინარე წლის თერმეტი თვის დავალებას. განსაკუთრებით ისახელეს თავი ლეთოფონის, სატრაქტორო, მინის ტარის ქარხნების, ავეჯისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკების კოლექტივებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით ასეულ ათასობით მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს.

ტყიბული (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა (უფროსი ვ. რაზმაძე, მთავარი ინჟინერი ვ. მარუაშვილი), ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის გეგმის გადამეტებით ამოიღო 16.700 ტონა „შავი ოქრო“. მეშახტეებმა თავიანთი სიტყვა საქმედ აქციეს — 4 დეკემბერს უპატრონო წლიური სახელმწიფო დავალებისა და ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულება. მომხმარებელს უკვე გაეგზავნა 21 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი.

საუკეთესო შრომითი მიღწევებისათვის მოწინავე საწარმოს მეორე და მესამე კვარტალში ზედიზედ მიეკუთვნა საკავშირო ჯილდოები. აქ ყველა მეშახტე იბრძვის საიუბილეო საპატიო სიგელის მოპოვებისათვის. განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ პირველი (უფროსი ჯ. ჭურაძე) და მერვე (უფროსი ლ. ალრძაძე) საექსპლოატაციო უბნები. თვითეული მათგანი დღეში 300 ტონა მაღალხარისხოვან ქვანახშირს იღებს.

მეშახტეებმა გადაწყვიტეს დეკემბრის დარჩენილ დღეებში მომავალი წლის ანგარიშში სულ ამოიღონ 24 ათასი ტონა „შავი ოქრო“.

ჭიათურა (საკ. კორ.). ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს „საკშახტმშენის“ ტრესტის ჭიათურის სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც ნოემბრის პირველი ნახევრისათვის შეასრულა 8.218 ათასი მანეთის სამუშაო და ვადამდე თვენახევრით ადრე გაანაღდა წლიური დავალება. სამმართველოს კოლექტივმა მიმდინარე წლის ათ თვეში შრომის ნაყოფიერება გაზარდა 11 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირა 178 ათასი მანეთით.

ახალციხე (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის (დირექტორი გ. ხუციშვილი) კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება. თერმეტ თვეში გამოუშვა 4.615 ათასი პირობითი ქილა კონსერვი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.500 ათასისა. ქარხანამ რეალიზაციის გეგმა 144 პროცენტით შეასრულა და 11 თვეში სახელმწიფოს მისცა 349 ათასი მანეთი მოგება ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 80 ათასი მანეთისა.



სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

რეალური გეგმები, კონკრეტული ამოცანები

17 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

ჩვენი ხალხი ხუთწლედის უკანასკნელი წლის ზღურბლზეა. ამ წელს, რომელიც ემთხვევა ღირსშესანიშნავ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, საბჭოთა ადამიანებმა უნდა გადაჭრან კომუნისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებითაა დასახული.

დიდი ინტერესით იხილავენ დეპუტატები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. კ. ბაბაიკოვის მოხსენებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებას სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დღეს პალატების ცალ-ცალკე სხდომების დღეა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

დილის 10 საათია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები. სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **მ. ა. აბდულაევმ.**

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, ა. ნ. შელეპინს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ბ. ნ. პონომარიოვს.**

ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიათა თანამოხსენება გააკეთა საგეგმო-სამეურნეო და დარგობრივ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **კ. მ. გერასიმოვმა.** მან განაცხადა, რომ ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესრულების შედეგები და 1969 წლის მოსალოდნელი შედეგები მოწმობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კიდევ უფრო განვითარებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ეროვნებათა საბჭოს შუადღე კომისიებს, რომლებმაც მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს 1970 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, მიიჩნიათ, რომ გეგმა შედგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად. ეროვნებათა საბჭოს ხუთწლედის ოთხ წელიწადში 37 პროცენტზე მეტით გაიზარდა. სულ უფრო კეთილნაყოფიერ გავლენას იხდენს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა.

ორატორმა განაცხადა, რომ უკრაინაში ფართო მასშტაბით ხორცელდება კაპიტალური მშენებლობა. მომავალ წელს დაიწყება მთელი რიგი ახალი, დიდი ობიექტების მშენებლობა. მაგრამ იზრდება აგრეთვე დაუმთავრებელი მშენებლობის ზოცულობა. ეს საკითხი ყურადღებით უნდა განიხილონ არა მარტო უკრაინის ორგანიზაციებმა, არამედ აგრეთვე საკავშირო სამინისტროებმა. საჭიროა ვიხმაროთ გადაუდებელი ღონისძიებანი მისი შემცირებისათვის.

ნ. ტ. კალჩენკომ აღნიშნა, რომ წელს, ამინდის რთული პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობას პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდება. რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლის, მზესუმზირის, ყურძნის, ხილის, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების მიყიდვის გეგმა. სოფლის მეურნეობის მუშაკები ყოველ ლონეს ხმარობენ, რომ მომავალ წელს უზრუნველყონ უხვი მოსავლის მიღება. რესპუბლიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა გვალვიანი მიწების მორწყვა და ჭარბტენიანი მიწების ამოშრობა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საშინისტრომ განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი სპეციალური ტრაქტორების წარმოების დაკვალებათა შესრულებისათვის. დეპუტატმა წამოაყენა წინადადება დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც კომისიებმა შემოიტანეს.

შემდეგ დაიწყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვა.

პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ნ. ტ. კალჩენკო.** მან მოახსენა სესიის მონაწილეებს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ვითარდება მაღალი და მყარი ტემპით. სამრეწველო წარმოების ზოცულობა ხუთწლედის ოთხ წელიწადში 37 პროცენტზე მეტით გაიზარდა. სულ უფრო კეთილნაყოფიერ გავლენას იხდენს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა.

ორატორმა განაცხადა, რომ უკრაინაში ფართო მასშტაბით ხორცელდება კაპიტალური მშენებლობა. მომავალ წელს დაიწყება მთელი რიგი ახალი, დიდი ობიექტების მშენებლობა. მაგრამ იზრდება აგრეთვე დაუმთავრებელი მშენებლობის ზოცულობა. ეს საკითხი ყურადღებით უნდა განიხილონ არა მარტო უკრაინის ორგანიზაციებმა, არამედ აგრეთვე საკავშირო სამინისტროებმა. საჭიროა ვიხმაროთ გადაუდებელი ღონისძიებანი მისი შემცირებისათვის.

ნ. ტ. კალჩენკომ აღნიშნა, რომ წელს, ამინდის რთული პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობას პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდება. რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლის, მზესუმზირის, ყურძნის, ხილის, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების მიყიდვის გეგმა. სოფლის მეურნეობის მუშაკები ყოველ ლონეს ხმარობენ, რომ მომავალ წელს უზრუნველყონ უხვი მოსავლის მიღება. რესპუბლიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა გვალვიანი მიწების მორწყვა და ჭარბტენიანი მიწების ამოშრობა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საშინისტრომ განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი სპეციალური ტრაქტორების წარმოების დაკვალებათა შესრულებისათვის. დეპუტატმა წამოაყენა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მათ შეასრულეს ხუთწლედი

მჭსოველი ოსტატი

ხუთწლედის მეოთხე წელი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ბევრმა მშრომელმა უკვე ერთი წლით ადრე უპატაჟა სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც დროს გაუსწრეს და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით ყოველდღიურად ზეგეგმით ფოლადს, შენადნობს, მარგანეცს, ქვანახშირს, ჩარხებისა და მანქანების დეტალებს, ყოველებს უგზავნიან სამშობლოს? ისინი ჩვენი სახელოვანი ვეტერანები და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან.

აი ერთ-ერთი მათგანი — ლონდა გოგიძე. იგი თბილისის ფაბრიკა „კრწანისში“ ეკვსი წელია, რაც მუშაობს, № 2 საამქროს მჭსოველია, წინდებს ქსოვს. ეს ერთი შეხედვით არც იხე მძიმე პროფესიაა, მაგრამ მის სრულყოფილად დაუფლებას, დოსტატებას დიდი გულისყური სჭირდება.

ლონდა გოგიძეს უკვე დაამთავრა ხუთწლედი. ახლა იგი მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობს და კისრულობს უფრო აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის შეასრულოს 1971 წლის დავალება და ბელადის საიუბილეო დღეებში დანაზოგი მახალბისა და დროის ხარჯზე იმუშაოს.

სურათზე: ლ. გოგიძე.

ფოტო ბ. ბოგოხიასი.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

„საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების რაიონულ განყოფილებებში, სამანქანო-მეცხოველეობის სადგურებსა და საწარმოებში ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მიღწეულია პირველი შედეგები. ვადამდე შესრულდა ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებანი ბევრი მაჩვენებლის მიხედვით.

ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავრდა მექანიზებულ საშოშაოთა პროგრამა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.107 ათასი ჰექტარი პირობითი რბილი ხვნისა, დამუშავებულია 2.184 ათასი ჰექტარი. ჩინებული მაჩვენებლები მოიპოვეს აფხაზეთის „სოფლტექნიკის“, წყალტუბოს, მახარაძის, ზუგდიდის, ონჩაჩუთის, ცხაკაიას, ხობისა და სხვა რაიონული განყოფილებების, აგრეთვე ბალდიერის სამანქანო-მეცხოველეობის სადგურის კოლექტივებმა.

რესპუბლიკის მეცხოველეებს დიდი დახმარება გაუწიეს გაერთიანების რაიონული განყოფილებების სპეციალური ბრიგადების მემონტაჟეებმა. „საქსოფლტექნიკის“ 33 განყოფილებამ უკვე შეასრულა ფერმებში ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა. ბევრ ფერმაში ელექტრომექანიზებულია წველა, დარწყულება, საკვების განაწილება, წუნწუხის გაზიდვა.

კარგად იმუშაეს წელს შემკეთებლებმაც. პირველი დეკემბრისათვის წლიური დავალება გაანაღდეს „საქსოფლტექნიკის“ წყალტუბოს, ზუგდიდის, ამბროლაურის, ბოლნისის, გარდაბნისა და ახმეტის რაიონულ განყოფილებათა კოლექტივებმა. ორგანიზებულად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი სგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის. (საქდესი).

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ბათუმი, 17 დეკემბერი (საქდესის კორ.). ბათუმში თერმეტ დღეს იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქის პარტიული და საბჭოთა მუშაკების დელეგაცია. უკვე რამდენიმე წელია ბულგარული მეგობრები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს ეჯიბრებიან.

დელეგაციის წევრები გაეცნენ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობას. ყველგან, სადაც კი ბრიგადა სტუმრები იყვნენ, მათ დიდი გულთბილობითა და გულთბილობით ხვდებოდნენ.

დელეგაცია მიიღეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში. აქ ბლაგოევგრადის ოლქის წარმომადგენლებს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. თბილაიშვილი.** საუბარში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანები **ლ. უკლება** და **მ. ქაჯაია.**

მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეიკრიბა ბლაგოევგრადის ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „პიონის“ კონცერტის სანახავად. მას ხელოვნებას აჭარის მშრომელები გაეცნენ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეში, ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში, ბათუმის რაიონის სოფლების ახალშენისა და წინწყლის, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის, ჩაქვის ლენინის სახელობის სპბ ბათუმი-ბლაგოევგრადი“, რომელიც ანსამბლის მსახიობებმა. შეასრულეს ტექსტისა და მუსიკის ავტორი ბულგარელი კომპოზიტორი დ. იანერი.

ბულგარელი მეგობრების სტუმრად ყოფნის დროს ბათუმის კინოთეატრ „თბილისში“ მოეწყო ბულგარული მხატვრული ფილმების კვირეული.

ბლაგოევგრადის ოლქის დელეგაცია თბილისში გაემგზავრა.

ᲐᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

17 **დეკემბერს** თბილისში გაიხსნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკების პროკურატურის ორგანთა მუშაკების სასწავლო-მეთოდური სემინარი საერთო ზედამხედველობის საკითხებზე.

პირველ დღეს სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს შემდეგი მოხსენებანი: საქართველოს სსრ პროკურორის ჯ. ე. **ბერძენიშვილისა** — „რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაკთა გამოცდილება სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის დარგში“, აზერბაიჯანის სსრ პროკურორის მოადგილის **ბ. ა. კაშკაროვისა** — „კანონიერების დარღვევებისა და დამნაშავეობის თვალდან აცილება საერთო ზედამხედველობის მეთოდებით“, სომხეთის სსრ პროკურორის **ვ. მ. მუსახანიანისა** — „პროტესტთა და წარდგინებათა ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება პროკურორების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში“, აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის **რ. ს. კუხმაზოვისა** — „მუშაობის ორგანიზაცია საერთო ზედამხედველობაში და კანონიერების დარღვევების ფაქტური აღმოფხვრის უზრუნველყოფის ღონისძიებანი“, სა-ქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის **ვ. ბ. ასეთიშვილისა** — „სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობა“.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ა. ბ. ბარანაძე,** სსრ კავშირის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ა. ა. ხოლიაშენკო,** სსრ კავშირის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი **ნ. ბ. ეშმეტკაპა.**

სემინარის მუშაობა 19 დეკემბრამდე გასტანს.

(საქდესი).

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ

გამოვიდა წიგნი „ლენინური კოოპერაციული გეგმის გამარჯვება. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მასალები. 1969 წლის ნოემბერი“.

წიგნში შეტანილია შემდეგი მასალები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი; კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს; სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხანაგ დ. ს. პოლიანსკის მოხსენება „კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ“; სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ თ. დ. კულაკოვის მოხსენება; ყრილობის დადგენილება „კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შესახებ“; კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება; ყრილობის დადგენილება „კოლმეურნეობათა საბჭოების შექმნის შესახებ“; კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს შემადგენლობა; კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობა.

წიგნის ტირაჟია 500 ათასი ეგზემპლარი. წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

11-16 **დეკემბერს** მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ორმოცდამეოთხე სხდომა.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIII (სპეციალური) სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის კომპლექსური პერსპექტიული პროგრამის პროექტის მომზადებისათვის.

აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელთა შუადგენლობით სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მოხსენებანი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგეგმო საქმიანობის დარგში, კერძოდ სახალხო მეურნეობის უნიმოვნელოვანესი დარგებისა და წარმოების. სახეობათა ხანგრძლივი პერსპექტივის შესახებ გეგმების კოორდინაციის დარგში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგნოზირების დარგში.

აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს წინადადებანი 1971—1975 წლების გეგმების კოორდინაციის ზოგიერთ საკითხზე და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს დაინტერესებულ წევრ ქვეყნებს უჩანა განახორციელონ ერთობლივი დაგეგმვა ზოგიერთი საწარმოს ლითონსაჭრელი ჩარხების, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის, საკონტეინერო სატრანსპორტო სისტემის, ზოგიერთი დეფიციტური საფეიერ ფურცლოვანი ნაგლინის, მილებისა და სხვა პროფილების დარგში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განხილულ ზოგიერთ საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური თანამშრომლობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფასთან. კერძოდ, მიზანშეწონილად ცნეს შეიმუშაონ მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა აამაღლონ მხარეთა ეკონომიური პასუხისმგებლობა ურთიერთვალდებულებათა შესრულებისათვის, კიდევ უფრო სრულყონ ქვეყნების საარბიტრაჟო ორგანოების საქმიანობა და დაკანონების წესი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამეურნეო ორგანიზაციებს შორის.

აღმასრულებელმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საჭიროა ღრმა და კომპლექსური თეორიული, მეთოდოლოგიური და გამოყენებითი დამუშავება ეკონომიური პრობლემებისა, რომლებიც დასახა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIII (სპეციალურმა) სესიამ, საჭიროდ ცნო კოონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის ურჩიოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს დაინტერესებულმა წევრმა ქვეყნებმა შექმნან მაოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიური პრობლემების საერთაშორისო ინსტიტუტი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის 1970 წლის გეგმა და საბჭოს სამდივნოს ბიუჯეტი, აგრეთვე განიხილეს ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სხვა საკითხები.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხმია. ზინა პლანზე საქართველოს სსრ დეპუტატები.

საკლესი. (მიღებულია საქლესის ფოტოტელეგრაფით).

რეალური გეგმები, კონკრეტული ამოცანები

(დასასრული)

მ. ა. ზაიდოვმა. პარტია და მთავრობა, თქვა მან, მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოციალური დაზღვევის საქმეს, რომელიც მიანდეს მშრომელთა ყველაზე მასობრივ ორგანიზაციას — პროფკავშირებს, და ამ მიზნით დიდ სახსრებს გამოყოფენ. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი უზბეკეთში ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა და 1969 წელს 198 მილიონი მანეთი შეადგინა. მომავალ 1970 წელს ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. დეპუტატმა ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებას კოლმეურნეობის წევრთა სოციალური დაზღვევის შესახებ, რომელიც კოლმეურნეთა III ყრილობამ მიიღო. 1970 წლის 1 იანვრიდან, თქვა მან, იქმნება ცენტრალიზებული ფონდი და კოლმეურნეთა დაზღვევის ერთიანი სისტემა. წინასწარი გამოანგარიშებით, ეს ფონდი უზბეკეთში 35 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. რესპუბლიკის საოლმეურნეო მინდვრების 1 მილიონ 800 ათასამდე მშრომელი ისარგებლებს სოციალური დაზღვევის შეღავათებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მატება, ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა, დეპუტატმა **ე. ე. ალექსეევსკიმ**, უნდა უზრუნველყოთ თითოეული ჰექტარი სახნავის, მდელოს, სამოვრების პროდუქტიულობის ამაღლების გზით. უნდა გავითვალისწინოთ, თქვა მან, რომ ქვეყნის სოფლის ეკონომიკა ვითარდება ურთიერთ ნაყოფიერ კავშირში ინდუსტრიულ ეკონომიკასთან. ეი რატომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა მელიორაციას.

კაპიტალური დაბანდებანი მელიორაციაში 1970 წელს სამ მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. მნიშვნელოვნად იზრდება სამელიორაციო სამუშაოთა მოცულობა უკრაინის ველის ნაწილის მარცხენა ნაპირის რაიონებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგისპირეთში, სადაც განსაკუთრებით ხშირად არის ხოლმე გვალვა.

მინისტრი დაწვრილებით შეეხო ნოებს შორის, უფრო ზუსტად შეეთანხმოთ წარმოების გეგმები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან.

ს. ა. მიქაელიანმა თქვა, რომ სამართლიანია საყვედური რკინიგზის ტრანსპორტისადმი, რომლის მიზეზითაც საწარმოები და მშენებლობები დროულად ვერ იღებენ ტვირთსა და მოწყობილობას.

ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ზ. შ. აკნაზაროვმა** ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს დასახული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ბაშკირეთში — ნავთობის, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის მხარეში — დასასრულია საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ძირითადი მიმართულებანი. გთვალისწინებულია მოგახლინოთ მოკმედი საწარმოების ძირეული რეკონსტრუქცია, ავამოქმედოთ ნავთობის გადასამუშავებელი ეთილენის, პოლიეთილენისა და ორგანული სინთეზის სხვა პროდუქტების საწარმოო დიდი კომბინირებული დანადგარები. ამ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს უკვე შემდეგ ხუთწლედში დაახლოებით ერთიოროად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

დეპუტატმა ბაზთა სამინისტროსა და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მიმართა თხოვნით ყურადღებით განიხილონ რესპუბლიკის ქარხნებიდან ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები. რკინიგზის ქსელის განვითარებას, ბაზი გაუსვა ზ. შ. აკნაზაროვმა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბაშკირეთისათვის.

კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე დეპუტატები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გ. ი. ჩოგოვაძე,** ლატვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ა. მანიუშისი,** თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ბ. ფ. ბურაშნიკოვი,** ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **კ. კ. პლაუდე.**

ამით ეროვნებათა საბჭოს დღევანდელი სხდომა დამთავრდა.

პროფკავშირულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები რესპუბლიკის პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებში, და აღნიშნა, რომ ისინი ნამიდნარეობენ საქმიანად, მშრომელთა გაზრდილი და პოლიტიკური აქტივობის პირობებში, რაც გამოწვეულია **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებით.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები მიმდინარეობს პრინციპული კრიტიკის ნიშნით, რომლის მიზანია კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროფკავშირთა ორგანიზატორული საქმიანობა. ანგარიშგება-არჩევნები გაიმართა 13.838 პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციაში, 546 ორგანიზაციაში მოეწყო კონფერენციები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობდა პროფკავშირთა წევრების 90 პროცენტზე მეტი. ოთხ ორგანიზაციაში პროფკავშირული კომიტეტების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პროფკავშირული კომიტეტის ანგარიშგება-არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა ცალკეულ ნაკლოვანებებს: მცირე იყო დამსწრეთა პროცენტი, გადაიდო კრების ვადები და სხვ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და საწარმოთა კომიტეტებს დაავალა გაძლიერონ ხელმძღვანელობა პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მომდინარეობისადმი, დაამთავრონ ისინი დადგენილ ვადებში, ყურადღება დაუთმონ იმლად არჩეული პროფკავშირული კომიტეტების საქმიანობის გაძლიერებას, კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებსაც ანგარიშგება-არჩევნების დროს გამოთქვამენ. საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს წინადადება მიეცათ პერიოდულად ჩაუბარონ ანგარიში პროფკავშირთა წევრებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების დადგენილებათა შესრულების მსვლელობის შესახებ.

(საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამას წინათ ა. თ. გორკინის თავმჯდომარეობით და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის რ. ა. რუდენკოს მონაწილეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ვ. ე. პანიეგინის მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ იყენებენ საასამართლოები პრაქტიკულად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძვლებს. ამ კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1968 წლის 1 ოქტომბრიდან, და მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულმა კოდექსებმა ქორწინებისა და ოჯახის ბრძანებანი ცვლილებანი შეიტანეს ცოლქმრული და ოჯახური ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებაში.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოები, როცა წყვეტენ საქმეებს მამობის დადგენის, განქორწინების, ალიმენტის გადახდევინებისა და სხვ., უნდა ხელმძღვანელობდნენ კანონმდებლობით დასახული ამოცანებით, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს საბჭოთა ოჯახის შემდგომ განმტკიცებას, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას, საბჭოთა ადამიანებისათვის ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ი. ვ. ფენტისის მოხსენების გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები პრაქტიკულად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძვლებს. ამ კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1968 წლის 1 ოქტომბრიდან, და მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულმა კოდექსებმა ქორწინებისა და ოჯახის ბრძანებანი ცვლილებანი შეიტანეს ცოლქმრული და ოჯახური ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებაში.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოები, როცა წყვეტენ საქმეებს მამობის დადგენის, ალიმენტის გადახდევინებისა და სხვ., უნდა ხელმძღვანელობდნენ კანონმდებლობით დასახული ამოცანებით, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს საბჭოთა ოჯახის შემდგომ განმტკიცებას, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას, საბჭოთა ადამიანებისათვის ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ა. ტუღუშის მოსაზრებას, რომლებიც ყურად არ იღებენ პარტიული ორგანიზაციის წინადადებებს, საამქროში დაბალია შრომის კულტურა, უდიერად ექცევიან სამუშაო ალაგებს, ჩამტვრეულია ფანჯრები, უძნელდებათ სახელმწიფო გეგმების შესრულება.

მოსალოდნელი იყო, რომ კამათში მონაწილეობას მიიღებდა საამქროს უფროსი, ან მოადგილე, ან მთავარი ოსტატი, მაგრამ ამაოდ. გამოირკვა, რომ არც ერთი მათგანი პარტიის წევრი არ ყოფილა. ეს მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც მეჩვენა, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

— არ იმსახურებენ, პარტიის რიგებში შეხვლა არა ხართ?

— როგორ არა, ხალმი არც ისეა, როგორც საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დაგვიბარა. — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა, — ამხანაგები უნარიანი, მოწინავენი არიან, მაგრამ რატომღაც საჭალაქო კომიტეტში ტექნიკური ინტელიგენციის ამ წარმომადგენელთა მიღებაზე თავს იკავებენ.

დავეხსწრით სხვა საამქრო ორგანიზაციების კრებებს, გავეცანით ოქმებს. კრებებზე კამათი მიმდინარეობდა ცოცხლად. ბუშური პარტაპირობენ. სიტყვებით გამოდიოდნენ სხვადასხვა ასაკისა და მომზადების ადამიანები: სამამულო ომის ფრონტელები, ქარხნის ვეტერანები, ახალგაზრდობა. ისინი ყველანაირ [illegible] ინდივიდებებს, [illegible] ნაკლოვანებებს, მოითხოვდნენ მათ გამოსწორებას, მოითხოვდნენ, რადგან ქარხანა მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას, მისმა პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი. ხოლო საწარმოს უკეთესი წარმატებები რომ ჭქონდეს, მას დახმარება სჭირდება. უწინარეს ყოვლისა, სწრაფი ტემპით უნდა წარიმართოს ქარხნის რეკონსტრუქცია, დაინერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, გაფართოვდეს ქარხნის ტერიტორია, რადგან სივიწროვე აფერხებს შრომითი პროცესების გაშლას, შრომის კულტურის ამაღლებას.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. ქარხნის წინაშე მდგომი საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. მაგრამ მათი მუშაობა დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. საამქრო ორგანიზაციებში ჩატარებული ზოგიერთი კრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. საანგარიშო კრებაზე ქარხნის საამრთველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ კრებებს რეგულარულად არ იწვევდა. ერთხელაც არ განუხილავს ქარხნის მომარაგების საკითხი.

კომუნისტებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მოითხოვეს, რომ მათ მიერ აღძრული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო კრებაზე მსჯელობის საგანი გახდეს.

პარტიული ჯგუფებისა და საამქრო პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებმა გვიჩვენა კომუნისტთა ღრმა დაინტერესება წარმოების უფრთხილესი საკითხების გადაჭრით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეული კომუნისტი, ქარხნის ყოველი მშრომელი თავის ადგილზეა საერთო საქმისათვის ბრძოლაში, რაც მომავალი წარმატების საწინდარია.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჯილდო — კოოპერატორებს

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებიც ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ ლენინურ შესანიშნავ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შუამობის შედეგებით. გადაჭარბებით შესრულდა საცალო ნელბრუნვის გეგმები, საკუთარი პროდუქციის და წიგნის ვაჭრობის ბრუნვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ბრუნვის გეგმა. კიდევ უფრო განვითარდა საცალო საგაჭრო ქსელი, ვაჭრობის პროგრესული ფორმები. მიღწეულია ეკონომია ვაჭრობის ბრუნვის ხარჯებში, მიღებულია ზეგეგმით მოგება 3,5 მილიონამდე მანეთის ოდენობით.

ცენტროსოიუზის გამგეობამ და სახელმწიფო კავშირთა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ჩვენი რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერატორთა კოლექტივებისათვის მინიჭებულ ღრმა გადასცა „ცკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს შ. შელიას, შ. შელიამ მხურვალე მადლობა გადაიხადა ჯილდოსათვის.

(საქდესი).

გემთმშენებელი კომუნისტები

ერთი ქარხნის საამქრო პარტორგანიზაციათა კრებებზე

ბათუმელი გემთმშენებლები ზეგიმით აღნიშნავენ წყალქვეშაფრთიანი კატარღის ზღვაში ჩაშვებას... თვითეული კატარღა ქარხნის მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია. წელიწადში კი გემთმშენებლებს ბევრი, ძალიან ბევრი ასეთი საზეიმო დღე აქვთ.

განზრახული გვქონდა ქარხანაში პარტიული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნებს დავსწრებოდით, კომუნისტებს გავცნობოდით არა მარტო კრების მსვლელობაში, არამედ მათს სამუშაო უბნებზე, გაგვეგო მათი გულისთქმა, ფიქრები და სურვილები. ამიტომაც ქარხანაში ადრე მოგვიხდა მისვლა.

— კარგ დროს მოხვედით, — გვითხრა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გივი გორგოშიძემ, — კატარღებს ვსინჯავთ, წამოდით, ნახეთ ჩვენი პირმშო...

პატარა ნავმისადგომთან მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები შეკრებილიყვნენ. აქვე იყო ქარხნის დირექტორი ე. მალაზონია.

ხალისიანი, მზიანი დღე იდგა, ლურჯი ზღვა მშვიდად ლივლივებდა. მძლავრი ამწეთი კატარღა ბაერში გადმოიკიდა, შექანდა და ზღვაში მსუბუქად ჩაეშვა. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ახალი მანქანა.

კატარღის შემქმნელები სიამაყით შეხცქეროდნენ თავიანთ ნაამაგარს.

ძრავი ჩართეს, მანქანა ისე შეტორტმანდა, თითქოს ბედაურის მსგავსად სარბიელზე მირბენას ითხოვდა. ამა, სიჩქარეში გადართეს, გაზს მიუმატეს, და კატარღაც ისეთი სასწრაფით გაიქცა, თითქოს ფრთები შეესხაო.

შუა ზღვაში წრე მოხაზა და ქარხნისაკენ გამოემართა. დიდებული სანახავი იყო, თითქოს ზღვიდან ამოსხლტომას ლამობდა, გედივით მოღერებული მოისწრაფოდა.

დიახაც რომ ეამაყებათ გემთმშენებლებს. მათი შემოქმედებითი შრომის შედეგია, რომ ბათუმარმა კატარღებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ისინი გახდიდულად სერავენ ინგლისის, ამერიკის, დასავლეთ გერმანიის, აფრიკის, დემოკრატიული ქვეყნების სამდინარო და საზღვაო წყლებს.

სხვა კატარღებიც გასინჯეს, შემდეგ საამქროებს მიაშურეს. მე მეოთხე საამქროს პარტორგანიზაციის მდივანს ო. თამაზიშვილს გავყევი და ვთხოვე მოწინავე კომუნისტები გაეცნო.

მდივანმა მხრები აიჩეჩა.

— 32 კომუნისტი მყავს, ერთი-მეორეზე უკეთესი არიან. ი. ზოიძე, დ. პატარაია, რ. ჭახნაია, ო. სარკველაძე და სხვები დღიურ ნორმას 120-130 პროცენტით ასრულებენ.

საამქროში შევედით. ადვილი სამუშაო როდია, ისინი ხომ ფოლადს ამორჩილებენ. კომუნისტებს ა. ტარიელაშვილს, ე. დევდარიანს, ა. სეიდიშვილს გავესაუბრეთ.

— ჩვენთან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კარგად არის დაყენებული. ჩაბმული ვართ პარტიული განათლების ქსელში. ვკითხულობთ ეურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ვიმაღლებთ ცოდნის დონეს. ამ მხრივ საყვედური არ გვეთქმის. აი ზოგიერთი საწარმოო საკითხი რომ მოგვარდებოდეს, მაშინ გეგმების შესრულება არ გაგეძნელდება. მაგრამ არის ხელშემშლელი მიზეზები. აქ საქმეს მარტო კომუნისტების თავდადება არ უშველის, არც ცალკეულთა ინიციატივა.

— მაინც რა? — დავინტერესდით.

წლების განმავლობაში გაურკვეველი იყო, ქარხანა ქალაქის სხვა რომელმე ადგილას გადავიდოდა თუ აქვე მოხდებოდა მისი რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქცია კი აუცილებელია. ადრინდელი საამქროები ვეღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. ჩვენი საამქრო სამი წელია ფართოვდება, გვინდა ახალი ნაკადური ხაზი დავამონტაჟოთ, და აი ასეთ ორმოფულ მდგომარეობაში რეკონსტრუქცია მეტისმეტად გაჭიანურდა.

—კიდევ რა გიშლით ხელს?

— ცუდად გვამარაგებენ. კმაყოფილი ვართ ქუთაისელი მომმარაგებლებით, მაგრამ „გრუზმეტალოსნაბსბტი“ დახმარების მაგივრად ხელს გვიშლიან. თავის დროზე არ გვიგზავნიან ფოლადის მილებს, ლითონს, ზოგჯერ გულხელდაკრეფილი ვდგავართ და ველოდებიდნენ. დრო კი არ ითმენს. ქვეყანას კატარღები სჭირდება. ხშირად საყვედურს გვეუბნებიან, ხელფასის ფონდში, მახალებში გადახარჯვა გაქვთო. ამის გამო ქარხნის ხელმძღვანელობასთან, საწყობებთან დავა მოგვდის. ახა, თვითონვე განსაჯეთ, მაგალითად, კუთხოვან ლითონს წონით გვაძლევენ, იგი დაგეგმილზე ნახევარი მილიმეტრით ხელია და შვიდი მილიმეტრით განიერი. რაკი სტანდარტულს არ გვიგზავნიან, ასეთ ვითარებაში, ცხადია, გადახარჯვა გვექნება. ზოგჯერ დამხმარე საამქროებიც ვერ გვამარაგებენ კარგად. დეტალების ზომები ზუსტად არ არის დაცული, რის გამო დამუშავებაზე გაეთვალისწინებელი დრო იხარჯება, რაც საამქროს არიტმიას იწვევს.

ოვუსმინეთ სხვა კომუნისტებსაც. შემდეგ კრებების ოქმები ვნახეთ. საანგარიშო პერიოდში მოწინავე ადამიანები საკმაოდ მიეღიათ პარტიის წევრად და კანდიდატად. ახალგაზრდობამ თავდადებული შრომით დაიმსახურა ასეთი ნდობა. ორგანიზაციას წმინდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობასთან ერთად სამრეწველო ხასიათის საკითხებიც განუხილავს. მაგალითად, კომუნისტების დ. პატარაიას, ი. ზოიძისა და სხვების თაოსნობით კრებამ მოამზადა საკითხი პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ, დასახეს კონკრეტული ღონისძიებები, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა.

საღამოს ამ პარტიული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნები საქმიან ვითარებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით წარიმართა. დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, აირჩიეს ბიუროს ახალი შემადგენლობა.

მეორე დღეს ანგარიშგება-არჩევნები მოეწყო მესამე საამქროში. პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. ბაბჩენკომ კრებას გააცნო გაწეული მუშაობა, მან გააკრიტიკა საბალხო კონტროლის თავმჯდომარე ე. ამაშიძე და კედლის გაზეთის რედაქტორი უ. ოგანესიანი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში კედლის გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი გამოუშვა. მდივანმა საყვედური გამოთქვა საამქროს უფროსის გ. ბელიავსკისა და უფროსის მოადგილის ა. ტუღუშის მიმართ, რომლებიც ყურად არ იღებენ პარტიული ორგანიზაციის წინადადებებს. საამქროში დაბალია შრომის კულტურა, უდიერად ექცევიან სამუშაო იარაღებს, ჩამტვრეულია ფანჯრები, უძნელდებათ სახელმწიფო გეგმების შესრულება.

მოსალოდნელი იყო, რომ კამათში მონაწილეობას მიიღებდა საამქროს უფროსი, ან მოადგილე, ან მთავარი ოსტატი, მაგრამ ამაოდ. გამოირკვა, რომ არც ერთი მათგანი პარტიის წევრი არ ყოფილა. ეს მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც მეჩვენა, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

— არ იმსახურებენ, პარტიის რიგებში შეხვლა არა ხართ?

— როგორ არა, ხალმი არც ისეა, როგორც საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დაგვიბარა. — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა, — ამხანაგები უნარიანი, მოწინავენი არიან, მაგრამ რატომღაც საჭალაქო კომიტეტში ტექნიკური ინტელიგენციის ამ წარმომადგენელთა მიღებაზე თავს იკავებენ.

დავეხსწრით სხვა საამქრო ორგანიზაციების კრებებს, გავეცანით ოქმებს. კრებებზე კამათი მიმდინარეობდა ცოცხლად. ბუშური პარტაპირობენ. სიტყვებით გამოდიოდნენ სხვადასხვა ასაკისა და მომზადების ადამიანები: სამამულო ომის ფრონტელები, ქარხნის ვეტერანები, ახალგაზრდობა. ისინი ყველანაირ [illegible] ინდივიდებებს, [illegible] ნაკლოვანებებს, მოითხოვდნენ მათ გამოსწორებას, მოითხოვდნენ, რადგან ქარხანა მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას, მისმა პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი. ხოლო საწარმოს უკეთესი წარმატებები რომ ჭქონდეს, მას დახმარება სჭირდება. უწინარეს ყოვლისა, სწრაფი ტემპით უნდა წარიმართოს ქარხნის რეკონსტრუქცია, დაინერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, გაფართოვდეს ქარხნის ტერიტორია, რადგან სივიწროვე აფერხებს შრომითი პროცესების გაშლას, შრომის კულტურის ამაღლებას.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. ქარხნის წინაშე მდგომი საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. მაგრამ მათი მუშაობა დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. საამქრო ორგანიზაციებში ჩატარებული ზოგიერთი კრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. საანგარიშო კრებაზე ქარხნის საამრთველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ კრებებს რეგულარულად არ იწვევდა. ერთხელაც არ განუხილავს ქარხნის მომარაგების საკითხი.

კომუნისტებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მოითხოვეს, რომ მათ მიერ აღძრული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო კრებაზე მსჯელობის საგანი გახდეს.

პარტიული ჯგუფებისა და საამქრო პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებმა გვიჩვენა კომუნისტთა ღრმა დაინტერესება წარმოების უფრთხილესი საკითხების გადაჭრით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეული კომუნისტი, ქარხნის ყოველი მშრომელი თავის ადგილზეა საერთო საქმისათვის ბრძოლაში, რაც მომავალი წარმატების საწინდარია.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზროვა და სილამაზე

წარმოებაში ტექნიკური ესთეტიკის დანერგვა მოითხოვს: ნაკეთობათა გარეგნული სილამაზე შეესაბამებოდეს ამ პროდუქციის მაღალ ხარისხს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მაჯითებულია, რომ მხატვრული საწყისები უფრო შთაგონებს შრომას, ჯალამბარებს და ნაკეთილშობილებს ადამიანის ყოფას. საქმე ეხება წარმოებაში ესთეტიკური საწყისების მასობრივ დანერგვას, პროდუქციის მაღალი ხარისხობრივი თვისებებისა და გარეგნული სილამაზის ურთიერთ შერწყმას, ნაკეთობათა მხატვრულ სრულყოფას ისე, რომ ისინი სოციალისტური საზოგადოების ჭანგითარების თანამედროვე დონეს შეესაბამებოდნენ.

კომუნისტური პარტიის ამ პროგრამული მოთხოვნის შესრულებისათვის ზრუნვის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში შეიქმნა ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ხოლო დიდ ქალაქებში მისი ფილიალები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ფილიალს. ინსტიტუტისა და მისი ფილიალებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეკნეურებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

ჩვენს რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელსაც მიეცა რთული და საპატიო საქმე: საწარმოთა ნაკეთობებს მხატვრული კონსტრუირება, თანამედროვე სამრეწველო, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ ნაგებობათა ინტერიერის კომპლექსების შექმნა და მათი მხატვრული გაფორმება. საყოფაცხოვრებო საგნებისა და პოლიგრაფიული ნაწარმის მხატვრულად სრულყოფა.

ახალ საქმეს ყოველთვის ეღობება სიძნელეები და დაბრკოლებები. ჩვენთანაც პირველ ხანებში გაჭირდა ფილიალის უზრუნველყოფა კადრებით. დარგობრივი განყოფილებები, რომლებიც რესპუბლიკის მრავალდარგოვანი მრეწველობის პერსპექტიულობის შესაბამისად იქნა ორგანიზებული, სრულიად ახალი კადრებით უნდა დაკომპლექტებულიყო, რომლებიც ძირითად სპეციალობათა შესწავლას შეძლებდნენ.

ფილიალის კოლექტივის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო. ახლა ფილიალს ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა ნაყოფიერი შრომა არაერთხელ აღნიშნულა საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე და მათი ნახელავი რესპუბლიკის არაერთ საწარმოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას ამშვენებს.

ფილიალის მუშაობა მარტო საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტებს, საწარმოთა დანადგარებისა და სახალხო მოხმარების სხვადასხვა ნაკეთობის ფორმირების მხოლოდ ზერელე რეკომენდაციების მიცემით როდი განიხილება. საგნის შექმნისა და მის გაფორმებამდე ფილიალის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იკვლევენ, თუ როგორ შეეხმაროს იგი ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, უპასუხებს თუ არა თანამედროვეობის მოთხოვნებს და აქვს თუ არა პერსპექტივა.

საამისოდ ფილიალში ორგანიზებულია სამეცნიერო კვლევის ეგრეწოდებული განყოფილება და ახალი მასალებისა და ლაქ-საღებავების დამოუკიდებელი ლაბორატორია. ორივე მათგანი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია უახლესი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით. ინჟინერი და ფსიქოლოგი, ეკონომისტი და სოციოლოგი, ექიმი და ფიზიოლოგი, მხატვარი და კონსტრუქტორი, ქიმიკოსი და მათემატიკოსი ურთიერთთანამშრომლობითა და კვლევის ერთობლივი ღონისძიებებით სრულყოფენ საგნებს, თეორიულად ასაბუთებენ მხატვრული კონსტრუირების საჭიროებას, განაზოგადებენ ამ საგნის აღქმის დიდ მნიშვნელობას და იძლევიან რეკომენდაციას დასამზადებლად. კვლევითი პროცესების გაერთიანებული საწარმოთა დანადგარები, ფართო მოხმარების ნაკეთობანი, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერის საგანთა კომპლექსები თანამედროვე კონსტრუქციული აღნაგობითა და გაფორმებით უნდა გამოირჩეოდნენ.

ფილიალში განყოფილების მუშაობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მეცნიერულ თემებს. მაგალითად, სამეცნიერო კვლევითი თემა: „1975-1980 წლების საქართველოს პირობებისათვის ბერსპექტიული მშენებლობის ქალაქური ტიპის საცხოვრებელი ბინების მოწყობილობის ოპტიმალური ნომენკლატურის დასადგენად მეთოდური მასალების მომზადება“, რომელსაც ამუშავებს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების კომპლექსური პროექტირებისა და მხატვრული კონსტრუირების განყოფილება. იგი ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინის ძირითად ნაკეთობათა განვითარების მეცნიერულ ანალიზს, სადაც დაცული იქნება ნაკეთობათა პერსპექტიული ნომენკლატურა და ასორტიმენტის პროექტირების მკვეთრი ეროვნული კოლორიტი.

სამეცნიერო თემატიკის მრავალფეროვნება განპირობებულია ფილიალის დარგობრივი განყოფილებების სიმრავლით. პერსპექტიული განვითარების თემატიკა თითქმის ყველა განყოფილების სამოქმედო პროგრამაა და მისი შესრულება ამ განყოფილებების მუშაკთა ღირსების საქმეა. ამის ნათელ გარანტიას შესრულებული და მოწონებული თემებისა და ნაკეთობათა ფაქტები გვაძლევენ.

ყურადღებას იპყრობს ცალკეული შემოქმედებითი განყოფილებების მიერ შექმნილი და მასობრივი წარმოებისათვის რეკომენდებული ნაკეთობანი. ამ მხრივ გამოირჩევა მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის განყოფილების მუშაობა. განყოფილებამ 5-ტონიანი ურიკები, ჭურჭლის სარეცხი ბლოკი და სხვა ნაკეთობანი მომმარაგებლებისა და წარმოების მუშაკთა დამსახურებული მოწონებით სარგებლობს. ნაყოფიერად შრომობენ ფილიალის სხვა განყოფილებებიც.

ჩვენთან, საზოგადოებრივი შენობების კომპლექსური პროექტების განყოფილებაში შეიქმნა სამოთახიანი საცხოვრებელი ბინის თანამედროვე ფორმის ავეჯი, რომელიც სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მ

მსოფლიო დღეს

17 დეკემბერი

იანოშ კადარის მეგობრული ვიზიტი

პრაღა, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვეულთა დღეს პრაღაში საპასუხო მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჯოჯაღლში ი. კადარს დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გუსტავ ჰუსაკი და სხვა პარტიული ხელმძღვანელები.

რაზე წერს უცხოეთის ერ. ... პრესა

უოვლი ... ბიზნესზე

ბევრი გაზეთი, განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნების პრესა, აშუქებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სხდომის შედეგებს, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა.

უცხოეთის პრესა კომენტარს უძღვნის პრეზიდენტ ნიქსონის გამოსვლას რადიოთი და ტელევიზიით, რომელშიც მან ილაპარაკა ვიეტნამის ომზე. „ლუმანიტეს“ აზრით, პრეზიდენტის სიტყვა მოწმობს, რომ თეთრი სახლი კვლავ ცდილობს ომის გაგრძელებას. „ვაზეთი ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ომის „ვიეტნამიზაციის“ კურსს, რომლის მიზანია თავს მოახვიოს ვიეტნამელ ხალხს მარიონეტული საიგონის აღმინისტრაციის ბრალი, ამერიკის შეიარაღებული შტატების დაქირავებული ჯარები.

როგორც პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, ამერიკის შეიარაღებული შტატების პრეზიდენტმა დადასტურა, რომ განაგრძობს „ომის უწინდელ პოლიტიკას, ოკუპაციას, აგრესიას, თმობს და უპირატესობას აძლევს ომს, ძალას პოლიტიკური მოლაპარაკების საზიანოდ“. უკვე პირველი კომენტარები, დასაკვნის პოლონური ვაზეთი, მოწმობენ, რომ პრეზიდენტის გამოსვლა არ აკმაყოფილებს ამერიკის საზოგადოებრივ აზრს, რომ იგი ომიდან გაცოცხლებასა და სიმშვიდის ვერნობასაც კი იწვევს.

ფრანგული, დასავლეთგერმანული და სხვა ვაზეთები ვრცლად აშუქებენ მოლაპარაკებას „საერთო ბაზრის“ ე. წ. ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის დაფინანსების პრობლემათა საბოლოო მოწესრიგების შესახებ. ამ პრობლემების განიხილავენ ბრიუსელში „საერთო ბაზრის“ მინისტრების საბჭოს სესიაზე. აღნიშნავენ, რომ სესია დაიბარა ვეთანაში „მინდინარე ომს“ და რომ საკითხია დანიშნულ ვადამდე მიაღწიონ შეთანხმებას განსახილველ საკითხებზე. კომენტატორთა აზრით, მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა გადადებულია 1970 წლის დამდეგისთვის. (საკ.სინ.).

მშვიდობის ინტერესებისათვის

მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ

ხარტუმი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). აქ მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ. საბოლოო კენჭისყრა სხდომაზე ერთსულოვნად მოიწონეს დოკუმენტები, რომლებშიც გამოთქმულია მშვიდობის მოუხრელთა დამოკიდებულება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემებისადმი.

სესიის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ვიეტნამის პრობლემას. მათ მიერ მიღებული მოქმედების პროგრამა და განცხადებანი ვიეტნამის საკითხზე ითვალისწინებენ მასობრივი კამპანიის მოწყობას იმისათვის, რომ ხელი მოაწერინონ „მოწოდებაზე ამერიკისა და სხვა ჯარების გამოყვანისათვის ვიეტნამიდან“, ითვალისწინებენ ახალი წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ვიეტნამის თაობაზე, კამპანიის მოწყობას ვიეტნამელი ხალხის დასახმარებლად სახსრების შეგროვებისათვის, აგრეთვე საერთაშორისო კომისიის გაგზავნას ვიეტნამში ამერიკის მხედრიონის დანაშაულთა გამოძიებისათვის. „დაე მთელი მსოფლიოს ადამიანებმა, — ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სპეციალურ განცხადებაში ვიეტნამში ამერიკის მხედრიონის დანაშაულთა შესახებ, — აღიმაღლონ მძლავრი საპროტესტო ხმა აგრესორთა მხეცობის წინააღმდეგ სონგმისა და ამ მრავალტანჯული ქვეყნის სხვა ადგილებში“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობასთან დაკავშირებულმა საკითხმა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა განცხადებაში ახლო აღმოსავლეთის შესახებ ხაზი გაუსვა, რომ არაბი ხალხების გრძელს მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები, რომელთა პირველ რიგში არიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა მოუწოდა ყველას, ვინც იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ გამოდის, გაერთიანონ ძალები იმისათვის, რომ აიძულონ ისრაელი გაიყვანოს ჯარები ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გადაჭრით დაგმო რასიზმი და ნეიტროლნიციალიზმი, მხარი დაუჭირა ბრძოლას, რომელსაც ანგოლის, მოზამბიკის, გვინეის (ბისაუ), ზიმბაბვეს, სამხრეთ აფრიკისა და ნამიბიის ხალხები აწარმოებენ თავისუფალი მრავნული დამოუკიდებლობისათვის. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს გადაწყვეტილებას, რომ 1971 წელი გამოცხადდეს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო წლად.

სესიის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსსაყაულისათვის მზადების საკითხის განხილვას. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა მშვიდობის დაცვის ყველა ეროვნულ კომიტეტს შესთავაზა ამ ისტორიული თარიღის ღირსსაწყაულობაში.

რეზოლუციებსა და რეკომენდაციებში ვიეტნამის უფლებებისა და განიარაღების საკითხებზე. მხარს უჭერენ ვიეტნამის უფლებებისა და თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს გადაწყვეტილებას, რომ 1971 წელი გამოცხადდეს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო წლად.

სესიის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსსაყაულისათვის მზადებას. „ბევრი გაზეთი, განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნების პრესა, აშუქებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სხდომის შედეგებს, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა.

უცხოეთის პრესა კომენტარს უძღვნის პრეზიდენტ ნიქსონის გამოსვლას რადიოთი და ტელევიზიით, რომელშიც მან ილაპარაკა ვიეტნამის ომზე. „ლუმანიტეს“ აზრით, პრეზიდენტის სიტყვა მოწმობს, რომ თეთრი სახლი კვლავ ცდილობს ომის გაგრძელებას. „ვაზეთი ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ომის „ვიეტნამიზაციის“ კურსს, რომლის მიზანია თავს მოახვიოს ვიეტნამელ ხალხს მარიონეტული საიგონის აღმინისტრაციის ბრალი, ამერიკის შეიარაღებული შტატების დაქირავებული ჯარები.

... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

... ბიბლიოთეკა

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

საბჭოთა კავშირის პრესა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). ამერიკის პრესა და საინფორმაციო სააგენტოები დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმასა და სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლებიც წარდგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის განსახილველად.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი ბაზს უსვამს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება გაიზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე წარმოების საშუალებათა წარმოება.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დღეს პირველ გვერდზე დაბეჭდა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ. აშუქებს რა სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალ ბიუჯეტში შემცირდა თავდაცვის ხარჯების წილი. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ბაზს უსვამს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულია როგორც მტკიცე მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის ბრძოლის პოლიტიკა.

ტოკიო, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). იაპონიის ყველა ცენტრალური გაზეთი დღეს დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მუშაობას. გაზეთები იმოწმებენ საკადესის ცნობებს და პირველ გვერდზე ბეჭდავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება გაიზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე წარმოების საშუალებათა წარმოება.

გენერალურ ასამბლეაში

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გუშინ მოიწონა ორი რეზოლუცია ქიმიური და ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის საკითხზე.

პირველი რეზოლუცია აცხადებს, რომ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში ომის წარმოების ყოველგვარი ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჟენევის ოქმში ომის დროს მბუთავი, შხამიანი ან სხვა ამგვარი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენების აკრძალვის შესახებ.

მეორე რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა კვლავ მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ზუსტად დაიცვან ჟენევის ოქმის პრინციპები და მიზნები. რეზოლუცია შეიცავს მიმართვას ყველა სახელმწიფოსადმი, რომლებიც არ შეერთებიან ჟენევის ოქმს, შეუერთდნენ ან რატიფიკაცია უყონ 1970 წლის განმავლობაში ამ ოქმს მისი ხელმოწერის 45 წლისთავისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

სსრ კავშირის დელეგაციამ ხმა მისცა ორივე რეზოლუციას.

მდგომარეობა დ-აგომეაში

პარიზი, 16 დეკემბერი. (საკ.სინ.). დაგომეის მთავრობის მინისტრები სრული შემადგენლობით გადადგნენ იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ დაგომეის აღლანდელი სამხედრო ლიდერები უარს ამბობენ მოაწყონ ღია შეხვედრა რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტ ემილ ზინსუსთან. ამის კონტონდან იტყობინება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რასაც გასულ კვირაში მოჰყვა პრეზიდენტ ზინსუს დამხობა და მისი დასატყვევება, წინა მთავრობის მინისტრები გადატრიალების ხელმძღვანელთა თხოვნით დათანხმდნენ დროებით დარჩენილიყვნენ თავიანთ პოსტებზე. მაგრამ ისინი იმ პირობით დათანხმდნენ, რომ ყოფილ პრეზიდენტს პატიმრობიდან გათავისუფლებენ და ოკოტონში დაბრუნებენ.

ოკოტონში დაბრუნებისას ემილ ზინსუმ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც მოუწოდა არმიის ხელმძღვანელებს მოაწყონ მისი, მთავრობის მინისტრებისა და სამხედრო ლიდერების ღია შეხვედრა ურთიერთდამოკიდებულების გამოსარკვევად. მაგრამ არმიის ხელმძღვანელებმა უარყვეს ეს წინადადება, რამოდ. იდგილმბრივ ჟურნალისტთა წრეების აზრით, მინისტრების გადადგომა გამოიწვია.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ დროებითმა დირექტორატმა, რომელიც დაჯიმეის ხელმძღვანელობას ახორციელებს პრეზიდენტ ზინსუს დამხობის შემდეგ, გამოაქვეყნა დეკრეტი იმის შესახებ, რომ მთელ დაგომეაში აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაცია და მიტინგი.

სენატორთა შეშფოთება

ვაშინგტონი, 16 დეკემბერი. (საკ.სინ.). აშშ-ისაის სენატმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მთავრობის ახალგაზდელ პოლიტიკას ლაოსში შეიძლება „ახალი ვიეტნამი მოყვეს“.

სამი საათის დებატის შედეგად სენატმა 72 ხმით 17 ხმის წინააღმდეგ მთავრობას წაუყენა პირობები, რომ არ გამოიყენოს ასიგნებანი 90 მილიონი დოლარის ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია „ლაოსში ადგილობრივი ძალების მხარდასაჭერად“, „ლაოსისა და ტაილანდის ტერიტორიაზე ამერიკის სახმელეთო ჯარების შეყვანის დასაფინანსებლად“.

„მარტო კორეაც გვეყოფა“, — გაანაცხადა კენჭისყრის წინ დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა სენატორმა მენსფილდმა, „მით უფრო გვეყოფა ერთი ვიეტნამი“.

სენატის მიერ მიღებული შესწორება არ ითვალისწინებს ამერიკის ავიაციის თავდასხმის შეწყვეტას ლაოსის ტერიტორიაზე და დამატებითი სახსრების გამოყენების აკრძალვას ეროვნული განთავისუფლების ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებს კარგად გაცნობილი სენატორებს, ისეთები როგორიც არიან ფულბრაიტი, საიმინგტონი, არაერთხელ გამოუთქვამთ შეშფოთება მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე ვიეტნამის ომის გავრცელების საფრთხის შესახებ.

სენატის ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო იზრდება შიში ომის გამო, რომ ახლანდელი პოლიტიკის განგრძობას ლაოსში შეიძლება მოყვეს ვიეტნამის სიტუაციის განმეორება.

სენატორ ალენის ვოიაჟი

ვაშინგტონი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). აქ ვიზიტით არის ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ეგანი, რომელიც ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მიიღოს „ფანტომის“ ტიპის ახალი რეაქტიული ავიაგამანადგურებლების მორიგი პარტია. როგორც „ამერიკულ ბროდკასტინგ კომპანის“ („ეიბი-სი“) დიპლომატიური კორესპონდენტი ჯონ სკალი იტყობინება, ისრაელის მინისტრი სახელმწიფო მდივანთან როჯერსთან მოლაპარაკების დროს ცდილობს აგრეთვე მიიღოს სესხი ამერიკული იარაღის შესყიდვის გადასახდელად. ეგანმა, როგორც კორესპონდენტი წერს, თავისი მოთხოვნა რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა მიწოდების შესახებ დაასაბუთა „დაკარგული ინიციატივის“ თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელს აწვდის „ფ-5 ფანტომის“ ტიპის 50 რეაქტიულ ავიაგამანადგურებლისაგან შემდგარ პარტიას, რომლის საერთო ღირებულება 300 მილიონი დოლარია.

ვაშინგტონი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). „გუშინ აქ დაიწყო სახელმწიფო მდივნის, როჯერსისა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ეგანის მოლაპარაკება.

როგორც ადგილმბრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ვიზიტის დროს ეგანს განზრახული აქვს ისრაელის ახლადშექმნილი მთავრობის სახელით შეიბაროს ამერიკის შეერთებული შტატები მხარი დაუჭიროს ისრაელის პოლიტიკას, რომელიც, როგორც თვით ეგანის გასულ კვირას ნიუ-იორკში ჩასვლისას გაკეთებული განცხადება მოწმობს, კვლავ არის აგრესიის განგრძობის პოლიტიკა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ეგანის ვოიაჟი ვაშინგტონში უშუალოდ დამოკიდებულია აგრეთვე ისრაელის მილიტარიზაციასთან, რომელიც კვლავ გრძელდება. ტელ-ავივმა ამჟამად გადაწყვიტა, რომ ესწრაფვის გადადგოს შეიარაღებული ძალები. და განზრახული აქვს არსენალი შეიესოს ამერიკული იარაღით, პირველ რიგში რეაქტიული თვითმფრინავებით და ტანკებით.

... ეგანის ... ვოიაჟი

ვაშინგტონი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). აქ ვიზიტით არის ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ეგანი, რომელიც ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მიიღოს „ფანტომის“ ტიპის ახალი რეაქტიული ავიაგამანადგურებლების მორიგი პარტია. როგორც „ამერიკულ ბროდკასტინგ კომპანის“ („ეიბი-სი“) დიპლომატიური კორესპონდენტი ჯონ სკალი იტყობინება, ისრაელის მინისტრი სახელმწიფო მდივანთან როჯერსთან მოლაპარაკების დროს ცდილობს აგრეთვე მიიღოს სესხი ამერიკული იარაღის შესყიდვის გადასახდელად. ეგანმა, როგორც კორესპონდენტი წერს, თავისი მოთხოვნა რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა მიწოდების შესახებ დაასაბუთა „დაკარგული ინიციატივის“ თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელს აწვდის „ფ-5 ფანტომის“ ტიპის 50 რეაქტიულ ავიაგამანადგურებლისაგან შემდგარ პარტიას, რომლის საერთო ღირებულება 300 მილიონი დოლარია.

ვაშინგტონი, 17 დეკემბერი. (საკ.სინ.). „გუშინ აქ დაიწყო სახელმწიფო მდივნის, როჯერსისა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ეგანის მოლაპარაკება.

... ...

პოლონელთა აზრით

პოლონური დრამატურგიის ფესტივალი საბჭოთა სცენაზე

საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს პოლონური დრამატურგიის ფესტივალი, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობს **რუსთაველის სახელმწიფო თეატრი** თავისი ახალი დადგმით. ესაარის პოლონელი დრამატურგის ზ. სკოვრონსკის პიესა **„მაესტრო“**. ამ დღეებში საბჭოთა სცენაზე პოლონური დრამატურგიის ფესტივალის ეიფორის წარმომადგენლები მეტალურგებისა და ქიმიკოსების ქალაქს — რუსთავს ეწვივნენ. მათ შორის იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ს. პახიცკი, ცნობილი ჩეხეთელი და დრამატურგი ე. ლიუტოვსკი და ლიუბლინის თეატრის რეჟისორი და დირექტორი კ. ბრაუნი.

სტუმრებს ახლდნენ ფესტივალის ეიფორის წევრი, მოსკოვის ეკონომ „თეატრის“ განყოფილების გამგე გ. შარბინა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაკაშვილი.

სტუმრები მიიღეს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველში მდივანმა ლ. ხარბედიამ და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ჯაფარიძემ.

პოლონელმა სტუმრებმა ქალაქისა და მისი საწარმოების დათვალიერების შემდეგ ნახეს რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი დადგმა — ზ. სკოვრონსკის „მაესტროს“. სპექტაკლში მთავარ — მაესტროს როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის laureატი ა. ვასაძე. ერთად ამ პიესის დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ლორთქიფანიძეს.

სპექტაკლს ეიფორის წევრთა საერთო მოწონება ხვდა. წარმოდგენის შემდეგ პოლონელი სტუმრები სცენაზე ავიდნენ და გულითადი მადლობა გადაუხადეს თეატრის დასს პოლონური პიესის ქართულ სცენაზე ესოდენ კარგი დადგმისათვის, როლების ბრწყინვალე შესრულებისათვის.

სტუმრებსა და მასპინძლებს შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი.

— ჩვენთვის, პოლონელებისათვის, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ ს. პახიცკიმ, — უდიდესი ბედნიერებაა, რომ ჩვენი თანამემამულის პიესა ასე წარმატებით დაიდგა საქართველოში. ამ ბედნიერებასა და სიხარულს ისიც ემატება, რომ სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებს პოლონელებისათვის კარგად ცნობილი და აღიარებული მსახიობი ა. ვასაძე. ბრწყინვალედ ასრულებენ როლებს სპექტაკლის სხვა მონაწილეებიც. ისინი დაგვრჩენია, რომ გითხრათ დიდი მადლობა ჩინებული სპექტაკლისათვის.

სიტყვას ამბობს მწერალი და დრამატურგი ე. ლიუტოვსკი:

— ამ სასიამოვნო დღეს მინდა გითხრათ სამშუხარო ამბავიც — თვეხახევრის წინათ გარდაიცვალა პოლონელი ხალხის საყვარელი მწერალი და დრამატურგი ზ. სკოვრონსკი. იგი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. თქვენი შესანიშნავი სპექტაკლის შემდეგ იგი თითქოს კვლავ დაინახე ჩვენს რიგებში, ჩვენს გვერდით...

ე. ლიუტოვსკი ჯიბიდან იღებს რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის დადგმის „მაესტროს“ პროგრამას და სპექტაკლის ყველა მონაწილეს ავტოგრაფებს სთხოვს. იგი ამბობს, ამ პროგრამაას ავტოგრაფებით პოლონეთში ჩასვლისთანავე დრამატურგის მეტლეს გადაეცემთო.

პოლონელმა სტუმრებმა აზრი გამოთქვეს, რომ რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „მაესტრო“, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთესია იმ პოლონური სპექტაკლებიდან, რომლებიც იდგმება საბჭოთა კავშირში და რომელთა ნახვის საშუალება მათ ჰქონდათ თავიანთი ვიზიტის დროს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოფლის ახალი ცენტრი

გორი. (საკ. კორ.). ნიქოზი ახლა ერთ-ერთი ლამაზი და ეკონომიურად ძლიერი სოფელია. იგი კიდევ უფრო დაამშვენა ახალმა ორსართულიანმა შენობამ, სადაც მოთავსებულია კლუბი 400 მაყურებლისათვის, ბიბლიოთეკა, კოლმეურნეობის კანტორა, სასოფლო საბჭო, დეპუტატის და ქორწინების ოთახები, აქვე ახლოს წელს საექსპლოატაციოდ გადასცეს საშუალო სკოლის ახალი შენობა 365 მოსწავლისათვის.

სოფლის ცენტრში თვალს მოგტაცებთ კეთილმოწყობილი გაზონები, დეკორაციული ნარგავები. ყოველდღიურად კლუბისაკენ მიეშურებიან ახალგაზრდები და ჭარმაგები. აქ რეგულარულად უჩვენებენ ახალ კინოსურათებს, კითხულობენ ლექციებს, მართავენ საღამოებს. შექმნილია ცეკვის, ფორტეპიანოს დაკვრის, ჭრა-კერვის შემსწავლელი წრეები და სხვ. ბევრი მეთხეული ჰყავს ბიბლიოთეკას. აქ ახლა მოწყობილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგნიტოფონური ჩანაწერის სტენდი, გამოფენილია დიდი ბელადის ნაშრომები.

სოფლის ახალი ცენტრი ძვირფასი საჩუქარია ნიქოზელებისათვის.

ეს საინტერესოა

დელფინები მაშველ რაზმებში

ამერიკის საზღვაო მაშველი სამსახური შეიძლება მალე შეივსოს არაჩვეულებრივი „აკვალანგისტებით“. ესენი არიან... დელფინები, ზღვის ლომები და სელაპები.

ახლა კალიფორნიაში დასასრულს უახლოვდება დელფინების პირველი ჯგუფის სწავლების კურსი. ამ ცხოველებიდან ზოგიერთმა თავი გამოიჩინა სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების დროს, რომლებსაც მეცნიერები ოკეანის სიღრმეში ატარებდნენ.

ასე, მაგალითად, დელფინმა, რომელსაც მეტსახელად „ტაფის“ ეძახიან, სამი წუთის განმავლობაში შეძლო 165 მეტრის სიღრმეზე ჩაშვება და მეკავშირის ფუნქციების შესრულება ცალკეულ აკვალანგისტებს შორის. ამ სიღრმეზე უჩვეულო მეკავშირეს გადაჰქონდა სხვადასხვა საგნები და ეძებდა ჩაძირულ აპარატურას.

ვარჯიშის მთავარი მიზანი ის არის, რომ დელფინებს აწავლონ გზაბნეული აკვალანგისტების პოვნა და გზის ჩვენება წყალქვეშა ლაბორატორიებისაკენ.

ჟურნალ „შტერნიდან“ ამოღებულ სურათზე თქვენ ხედავთ დელფინ „ტაფის“, რომელიც დავალებას იღებს აკვალანგისტისაგან.

ახალი ამბების საბჭოთა.



ალმა - ატასა და ტალინში

ალმა-ატასა და ტალინში ამოიწურა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

ალმა-ატაში სსრ კავშირის ჩემპიონმა ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა“ ზედიზედ მესუთე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად დაამარცხა ბაკოს სტუდენტ ფრენბურთელთა გუნდი 3:0. ასეთივე ანგარიშით დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა მოუგო ოდესის „ბურევესტნიკს“. ლუგანსკის ზვეზდისა“ და „კიევის „ლოკომოტივის“ მატჩის შედეგია 3:1 ლუგანსკელთა სასარგებლოდ.

ალმა-ატის ჯგუფში პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერია ადგილობრივი „ბურევესტნიკი“.

ტალინში უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები ასეთია: არმიის (ენინგრადური სასპორტო კლუბის გუნდი — ლენინგრადის „ავტომობილისტი“ 3:2, ტალინის „ალევი“-ირკუტსკის „დინამო“ 3:1, ხარკოვის „ბურევესტნიკი“-რიგის „რადიოტექნიკი“ 3:0.

ტალინის ჯგუფში ლიდერია ადგილობრივი „ალევი“, რომელმაც ხუთიდან ოთხი მატჩი მოიგო.

ლიდი ჩოგბურთის კონცერტები

ამ დღეებში სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა და ვაჟთა ათეულების სია. ეს იყო „გასული სეზონის შეჯამება. იწყება ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ასპარეზობები.

პირველი ასეთი შეჯიბრება დახურულ კორტებზე ამჯერად ლენინგრადში შედგება 26-დან 30 დეკემბრამდე. ეს არის ზ. ზიგმუნდის მემორიალი. აქ მოეწყობა წყვილთა შეხვედრები, რომლებშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ვეტერანები ნ. ოზეროვი, ს. ანდრეევი და სხვები.

პირველი იანვრიდან კი ტურნირს ტურნირი მოჰყვება — ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება, მოსკოვის, ესტონეთის, რსფსრ-ის, ლენინგრადისა და უკრაინის ღია ჩემპიონატები, ჩვენი ქვეყნის ზამთრის პირველობა კიევში. საქართველოს გუნდს ა. მეტრეველის მეთაურობით ტურნე ექნება ინდოეთში, მოსკოვის ზამთრის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება 15-დან 22 თებერვალამდე.



თბილისელთა ჩინებული სტარტი

ვ. გოგლიძის მემორიალი

გუშინ ტურნირზე

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ვ. გოგლიძის მემორიალის პირველი ტური.

ცენტრალური პარტია გროსმაისტერ ვ. პორტსა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალს შორის არ გამართულა. წარმატებით დაიწყეს შეჯიბრება თბილისელმა მოჭადრაკეებმა. ბ. გურგენიძემ შავებით ჩინებულად გაითამაშა რეტის დებიუტი გროსმაისტერ ა. ლეინთან. მოსკოველი მოჭადრაკის ფიგურებმა დაკარგეს კოორდინაცია, ამასთან ა. ლეინი მძიმერ ცაიტნოტში მოხვდა. გურგენიძემ მოხდენილად შეწირა ფიგურა და უძლიერესი იერიში წამოიწყო. მართალია, ლეინმა თავი დააღწია ცაიტნოტს, მაგრამ მძიმე პოზიციის ხსნა ვერ შეძლო და 41-ე სვლაზე მეტოქეს პირველი გამარჯვება მოუღოცა. საქართველოს ჩემპიონმა რ. ჯინჯიხაშვილმა საუცხოოდ ითამაშა შავებით მოსკოველ გროსმაისტერ ლ. შამოვიჩთან. პაიკის მოხდენილი შეწირვით თბილისელმა შებოჭა მეტოქის ძალები. ლ. შამოვიჩი იძულებული გახდა დაეთმო ორი მსუბუქი ფიგურა ეტლში. პარტია გადაიდო. რ. ჯინჯიხაშვილი მოგების შანსებს ინარჩუნებს. პოლონელი ე. კოსტრო და თბილისელი გროსმაისტერი ე. გუფელდი მძაფრი ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ.

გროსმაისტერმა ა. სუეტინმა მოუგო ოსტატ ლ. მაშიჩს (იუგოსლავია). ყაიმზე შეთანხმდნენ ბულგარეთის ჩემპიონი ნ. სპირიდონოვი და საერთაშორისო ოსტატი რ. ფუქსი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), საერთაშორისო ოსტატები ე. ჰაააგი (უნგრეთი) და ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), გროსმაისტერები დ. ბრონშტეინი და რ. ხოლმოვი.

დღეს გაიმართება მეორე ტური.

გ. გამრეკელი.



თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი დიდი საჭადრაკო დავის არენა გახდა. ეს არის საქართველოს ცნობილი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის მემორიალი. ჩვენი სტუმრები არიან საერთაშორისო გროსმაისტერები და ოსტატები. მონაწილეთა შორის ვხედავთ ისეთ აღიარებულ მოჭადრაკეებს, როგორიც არიან მ. ტალი, ვ. პორტი, დ. ბრონშტეინი, რ. ხოლმოვი და სხვები.

ტურტს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო მოჭადრაკეთათვის, არამედ მაყურებელთათვის. ამიტომ იყო, რომ პირველ ტურს მრავალი მაყურებელი ჰყავდა. ეს სურათი გუშინ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა გადაიღო. მასზე აღბეჭდილია პირველი ტურის დასაწყისი.

კომუნისტი

საკდესის ტურნირი

საკავშირო დეპეშათა საგენტოს სპორტულმა რედაქციამ მოაწყო მეოთხე ტრადიციული ანკეტა. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ევროპის, ამერიკისა და აზიის 13 საგენტოს მიმღებლები.

1969 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად ქალთა შორის დასახელებულია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ბირთვის კვრაში ლენინგრადელი **ნადეჟდა ჩიჟოვა**, რომელმაც 109 ქულა შეაგროვა.

უძლიერესთა ათეულში მოხვდნენ: ფიგურული მოცეკვავე **გ. ზაიფერტი** (გდრ, 66 ქულა), ბადროს მტყორცნელი **ლ. ვესტერმანი** (გფრ, 62 ქულა), ამერიკელი მცურავი **დ. მაიერი** (58 ქულა), მძლეოსნური ხუთჭიდელი **მ. პროკოპი** (ავსტრია, 43 ქულა), თარჯმნელი **კ. ბალბერი** (გდრ, 37 ქულა). 400 მეტრზე მორბენალი **ნ. დიუკლო** (საფრანგეთი, 36 ქულა), ჩოგბურთელი **ჰეიდონ-ჯონსი** (ინგლისი) და სამოთ-მოთხილამურე **ჰ. გაბლი** (ავსტრია) — 31-31 ქულა, მცურავი **გ. ვეტც�ა** (გდრ, 25 ქულა).

სულ დასახელებული იყო 34 სპორტსმენი, გარდა ლაურეატის ნ. ჩიჟოვასა, საბჭოთა კავშირიდან დასახელეს მოცეკვავე ლ. კაუნინტე, მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი, მფარიკაკეი ე. ნოვიკოვი, ბაიდარებით ნიჩბოსანი თ. შიმანსკაია.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ნონა გაფრინდაშვილი თასის მფლობელი

ვრნიაჩკა-ბანია. ჭადრაკის დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა ტურნირში, რომელიც აქ დამთავრდა. მან 9,5 ქულა მოაგროვა 11 შესაძლებელში. მეორე ადგილი დაიკავა იუგოსლავმა მილუნკა ლაზარევიჩმა — 9, მესამე — ალექსანდრა ნიკოლაუმ (რუმინეთი) — 8 ქულა.

ლიდერთა კვარტეტი

გელგრადი. „განთავისუფლების ტურნირში“ უკანასკნელი ტურის წინ ლიდერობს გროსმაისტერთა კვარტეტი — პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), გლიგორიჩი, ივკოვი, ბატულოვიჩი (ყველა იუგოსლავიიდან), რომლებსაც 9,5-9,5 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან უნგრელი ლენდიელი და გელერი — 9-9 ქულა; ბოტვინიკი — 7,5 ქულა აქვს. (საკდესი).

ჩემპიონატი რეკორდებით დაიწყო

ლვოვში სტარტი აიღო საკავშირო გუნდურმა პირველობამ ძალოსნობაში. მონაწილეობს სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა 25 გუნდი 250-ზე მეტი შტანგისტით.

პირველ დღეს ბაიჩრობა ჰქონდათ უმჩატესი წონის ძალოსნებს. დიდი წარმატება ხვდა ლვოველ არმიელ სპორტსმენს მსოფლიოს ჩემპიონს ვ. კრიშჩიშინს, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე მსოფლიოს ორი ახალი რეკორდი დაამყარა — აწევამ 113,5 კილოგრამი და აკრა 128,5 კილოგრამი. სამჭიდის ჯაზში ვ. კრიშჩიშინმა აჩვენა 335 კილოგრამი და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო სვერდლოვსკელი შტანგისტი ვ. სმეტანინი — 320 კილოგრამი.

ჩემპიონატი 20 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ასპარეზობათა კანონრაკმა

□ **მოსკოვში** გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ლიდერმა მოსკოველმა მოჭადრაკე ლემაჩკომ მეხუთე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა ბაუმშტარკი. ოსტროვსკაია-მედიანოკოვა და ბელავენეცი — ბიკოვა ყაიმზე შეთანხმდნენ.

□ **კიევში** დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის თასის გათამაშება კრაში. მორიგ ტურში მოსკოვის ნაკრებს შეხვედრა ჰქონდა სომხეთის მოკრიველებთან და გაიმარჯვა 7:4. ასეთივე ანგარიშით ყაზახეთის გუნდმა მოუგო ბელორუსიის ნაკრებს.

□ **ლიუბლიანაში** ცნობილი გახდა, რომ კალათბურთელი ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მეთორმეტე მონაწილე იქნება კუბის გუნდი. იგი მოსდა პირველ ჯგუფში, სადაც გამოვლენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრალიის გუნდები. მათი ასპარეზობა გაიმართება სარაევოში.

ეს საინტერესოა

დელფინები მაშველ რაზმებში

ამერიკის საზღვაო მაშველი სამსახური შეიძლება მალე შეივსოს არაჩვეულებრივი „აკვალანგისტებით“. ესენი არიან... დელფინები, ზღვის ლომები და სელაპები.

ახლა კალიფორნიაში დასასრულს უახლოვდება დელფინების პირველი ჯგუფის სწავლების კურსი. ამ ცხოველებიდან ზოგიერთმა თავი გამოიჩინა სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების დროს, რომლებსაც მეცნიერები ოკეანის სიღრმეში ატარებდნენ.

ასე, მაგალითად, დელფინმა, რომელსაც მეტსახელად „ტაფის“ ეძახიან, სამი წუთის განმავლობაში შეძლო 165 მეტრის სიღრმეზე ჩაშვება და მეკავშირის ფუნქციების შესრულება ცალკეულ აკვალანგისტებს შორის. ამ სიღრმეზე უჩვეულო მეკავშირეს გადაჰქონდა სხვადასხვა საგნები და ეძებდა ჩაძირულ აპარატურას.

ვარჯიშის მთავარი მიზანი ის არის, რომ დელფინებს აწავლონ გზაბნეული აკვალანგისტების პოვნა და გზის ჩვენება წყალქვეშა ლაბორატორიებისაკენ.

ჟურნალ „შტერნიდან“ ამოღებულ სურათზე თქვენ ხედავთ დელფინ „ტაფის“, რომელიც დავალებას იღებს აკვალანგისტისაგან.

ახალი ამბების საბჭოთა.

საჭადრაკო დეკემბრის სუსხი და სიცხე

● ბელგრადის რადიოს მონაჭორი ● რა მოუვიდა მ. ბოტვინიკს? ● მ. ლაზარევიჩი „იმუჭრება“

უკანასკნელი ჩემი სტატია „კომუნისტში“ დაიბეჭდა სათაურით „ხმები და სინამდვილე“. სინამდვილე ყოველთვის კარგია, როცა იგი სასიამოვნოა, მართალია, სასარგებლოა. რაც შეეხება ხმებს, ისინი სხვადასხვანაირია. თუ ხმა სიცილსა და ეჭვს იწვევს, ეს კიდევ არაფერია, მაგრამ, ცუდია, მეტისმეტად ცუდია, როცა ხმები მავნე, ბოროტი, სავალალოა და ადამიანს სულიერ ტკივილს განაცდევინებს.

სწორედ ასე მოხდა ამ დღეებში მოსკოვში. რადიოს, ტელევიზიის, თანამგზავრების ჩვენს ეთერში ხმები ელვის სისწრაფით ვრცელდება. ზემოხსენებულ სტატიაში ჩვენ აღვნიშნეთ, მიშა ტალი მუდმივ საცხოვრებლად თბილისში გადასვლას აპირებსო. სანამ იგი მუდმივად გაეწერებოდეს საქართველოს დედაქალაქში, რთული ოპერაცია უნდა გაიკეთოს — ერთი თირკმელი ამოაჭრანო. მოსკოვში ცნობილი იყო, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ყველას უხაროდა პოპულარული გროსმაისტერის გამოჯანმრთელება. მაგრამ საჭადრაკო მოსკოვმა უეცრად დიდი მღელვარება განიცადა ერთი ამბის გამო: ბელგრადის რადიომ თავისი კორესპონდენტის სამუალებით მოსკოვში გადასცა ცნობა, თბილისში მიშა ტალი... გარდაიცვალაო. ამ ცნობამ ნამდვილი პანიკა გამოიწვია. როგორ მოხდა, რომ ბელგრადმა მეტი იცის, ვიდრე თბილისმა, მოსკოვმა?! მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველანი მალე დამშვიდდნენ. თბილისიდან გადმოსცეს, მიშა თავს კარგად გრძნობსო, როგორ, საიდან გავრცელდა ეს ხმები ბელგრადში, დღემდე ვერ გამოურკვევიათ. მაგრამ მთავარია ის, რომ მიშა ჯანმრთელად არის. არ ვიცით, შეიტყო თუ არა მიშამ „ბელგრადული ჭორი“. მაგრამ როცა შეიტყობს, შეუძლია განთქმული მარკ ტვენივით თქვას, ხმები ჩემი სიკვდილის შესახებ აშკარად... გადაჭარბებულიაო.

არის კიდევ ერთი სასიამოვნო გარემოება „ბელგრადულ ჭორში“. ოდითგანვე გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანი, რომლის შესახებაც გაავრცელებენ ხმებს გარდაიცვალაო, დიდხანს იცოცხლებს. ი ი სწორედ ამას უსურვებს ტალის თაყვანისმცემელთა უდიდესი არმია მიშას, რომელსაც დიდხანს აწუხებდა თირკმელი.

ხმები მ. ბოტვინიკისა და რ. ფიშერის მომავალი მატჩის შესახებ თითქოს აბსოლუტურ სინამდვილეს ჰგავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რობერტ ფიშერმა მაინც გამონახა საშუალება გაერთულებინა ასეთი უაღრესად საინტერესო მატჩის რეალიზაცია. ასეთი მატჩის მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პროფესორი მ. ეიგე. ეიგემ ტელეფონით გადმოგვცა, რომ ფიშერთან ვერასგზით ვერ მოხერხდა ყველა პუნქტში შეთანხმება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, დაგეგმული იყო 18 პარტიის თამაში, მაგრამ შემდეგ რ. ფიშერმა დაიწყო მოთხოვნა, რომ მატჩი გათამაშებულიყო ექვს გამარჯვებამდე ყაიმების ჩაუთვლელად. ეს წინადადება ხელს არ აძლევდა ჰოლანდიელ ორგანიზატორებს, რადგანაც ისინი შიშობდნენ, მატჩი შეიძლება გაჭიანურდესო. რამდენადაც ჰოლანდიელები ჯერ კიდევ არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ კიდევ რაიმე პრეტენზიების წამოყენებას არ დაიწყებდა ფიშერი, მათ გადაწყვიტეს შეეწყვიტათ მოლაპარაკება ფიშერთან, მით უმეტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის პოვნა ნიუ-იორკში არც თუ იოლი საქმეა, არა იმიტომ, რომ ნიუ-იორკი ძალიან დიდი ქალაქია, არამედ იმიტომ, რომ ფიშერი ბოლო ხანს განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა. მან აგრეთვე გადაწყვიტა უარი ეთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატში. მონაწილეობაზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არ აპირებს იბრძოლოს მსოფლიოს პირველობისათვის (ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი ამავე დროს ზონალური ტურნირია). ახლა უკვე თვითონ ამერიკელები ვეღარ მალავენ შიშს, რომ რობერტ ფიშერს მთლად ჯანსაღი ფსიქიკა არა აქვს. ბორის სპასკიმ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იყო ნიუ-იორკში, ერთ სტატიაში აღნიშნა, ამერიკელები შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ფიშერის სახით ამერიკის საჭადრაკო ცხოვრებას ემუქრება პაულ მორფის ტრაგედიის გამეორება. ფრიად სამწუხარო, საგანგებო მუქარაა.

ჩვენში ფეხბურთის სეზონი რომ მთავრდება, წამყვანი გუნდები საგასტროლოდ წავლენ ხოლმე სხვადასხვა უცხო ქვეყნებში. მოჭადრაკეთა საქმე მთლად ასე როდია: ჩვენს გროსმაისტერებზე მოთხოვნილება მეტისმეტად დიდია ზამთარ-ზაფხულ.

გვეგონა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალი ბრაუნსა და ლ. ბალაშოვს შორის ბოლოს ბოლოს ბრაუნის ტაბიანი ბორის სპასკისთან და ვიქტორ კორჩნოის ერთად ესპანეთში იბრძოდა მზიერ კუნძულ მალიორკაზე.

შარშან ვიქტორ კორჩნოიმ გაიმარჯვა, წელს კი დანიელმა გროსმაისტერმა ბ. ლარსენმა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი გამარჯვებულს ამ ტურნირზე ელოდებოდა. ბრაუნმა „ანაცხადა, რომ მისი აზრით წარმატებისათვის შეიძლება გამოიყენონ და უნდა გამოიყენონ ყოველნაირი ხერხი: თუნდაც ყოფილად მახინჯი ვრიმასები და სხვ. ალბათ, ეს ეგონა ბრაუნს ჭადრაკი რაღაც „თავისუფალ ჭიდაობად“ მიაჩნია, არა უშავს რა, ვფიქრობ, რომ წლების, მსოფლიოს ბოლოს ბოლოს ეს „მანჭია მოჭადრაკის“ მოთვინიერება.

საოცარი ამბავი დაემართა მიხეილ ბოტვინიკს. იგი ე. ეფერთან და ლ. პოლუგაევსკისთან ერთად გაემგზავრა ტურნირზე ბელგრადში. ეფერი და პოლუგაევსკი არაერთხელ ყოფილან იუგოსლავიაში. ბოტვინიკი პირველად არის ამ, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს მეორე საჭადრაკო ქვეყანაში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონის გამოსვლა იუგოსლავიაში უდიდეს ინტერესს იწვევს. ხოლო, ბოტვინიკს, გასაგებია, იგი დანის პირზე თამაშობს, მაგრამ არც ერთი დამარცხება არ განუცდია და საბოლოოდ გროსმაისტერის ნორმა შეასრულა. ძალიან ნერვიული ჭაბუკია. როცა ცაიტნოტში ექცევა (ეს კი ყოველ პარტიაში მოხდის), მეტისმეტად ექსპანსიურად იქცევა: ითამაშებს, ბორგავს, სკამიდან დგება, მისი ლელვა ხშირად პარტნიორებსაც გადაეცემა“. ამას ამბობს სპასკი, მეტად ზრდილი და თავაზიანი კაცი.

უცხოეთის საჭადრაკო ლიტერატურაში შეიძლება კიდევ წაიკითხოთ, რომ ბრაუნი ჭადრაკს მხოლოდ ფულზე თამაშობს. ისე ჰგავს, რომ ასეთი ლეგენდა ბრაუნმა ჯერ კიდევ არ დაფიქრებულა იმაზე თუ რა არის ჭადრაკი: თამაში, ხელოვნება თუ მეცნიერება. ბრაუნმა „განაცხადა, რომ მისი აზრით წარმატებისათვის შეიძლება გამოიყენონ და უნდა გამოიყენონ ყოველნაირი ხერხი: თუნდაც ყოფილად მახინჯი ვრიმასები და სხვ. ალბათ, ეს ეგონა ბრაუნს ჭადრაკი რაღაც „თავისუფალ ჭიდაობად“ მიაჩნია, არა უშავს რა, ვფიქრობ, რომ წლების, მსოფლიოს ბოლოს ბოლოს ეს „მანჭია მოჭადრაკის“ მოთვინიერება.

ბოტვინიკი ბოლოდროინდელ ტურნირებში ბრაუნზე ოდენ ერთ ადგილით ჩამორჩა. ეს ბრაუნმა „ანაცხადა, ალბათ, ეს ეგონა ბრაუნს ჭადრაკი ... ეს ... ეს ... ეს